# თავისუფალი საქართველო

№29
12 - 18 დეკემბერი
1995 წ.
ფასი 20 თეთრი

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 10 დეკემბერს აღინიშნა ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღე

# სამშობლოს სიყვარული - ჩვენი უფლებების დეკლარაცია და გზა ჩვენი გამარჯვებისა

ერთი თუ მრავალი, ინდივიდი თუ კოლექტივი - ამ კითხვას მუდამ სვამდა კაცობრიობა, მაგრამ მხოლოდ სოციალისტურმა იმპერიალიზმმა გასცა მარტივი პასუხი - პირველადია ერთობა, კოლექტივი. თაობები ალიზარდა ამ განტოლებაზე, მაგრამ როდესაც დადგა ჟამი და კოლექტივის ცნებას შეენაცვლა ერი, როგორც მარადიული ღირებულება, - პასუხი უმალ შეიცვალა

ჩვენ ეს ჩვენს თავზე ვიწვნიეთ და დავინახეთ, რომ სამყარო, რომელიც ადამიანურ უფლებათა საჯარო დეკლარირებას ახდენდა, მანიპულირებს მხოლოდ კერძო ინდივიდის ცნებით. მის მიერ შექმნილ სისტემაში პიროვნება განიხილება არა როგორც სულიერი ფენომენი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ინდივიდუალურ და გენეტიკურ მოცემულობებს, ტრადიციას, კულტურას, მსოფლაღქმას, ემოციურ და ინტელექტუალურ გამოცდილებას, არამედ როგორც კერძო სოციალური ელემენტი, რომელსაც თავისი მოთხოვნილების განსახორციელებლად ესაჭიროება გარანტიების სისტემა. იგი არსებობს თავისთავად, განცალკევებით და როგორიც არ უნდა იყოს მის გარშემო ან მის შინაგან სამყაროში არსებული მოცემულობა, მისი პრობლემა კერძოა, კერძო შესწავლას, შემოწმებას და გადაწყვეტას საჭიროებს.

ასეთ განცალკევებულ, განკერძოებულ სოციალურ ელემენტთან უფრო ადვილდება საზოგადოებრივი კომპრომისის მიღწევა, რამეთუ მისი მოთხოვნილებები კერძოა, ლოკალური და თავად იგი კონცენტრირებულია საკუთარ მოთხოვნილებებზე. ამიტომ, მისი დაკმაყოფილებაც უფრო ადვილია და, შესაბამისად, დაცვის მეტი გარანტიებიც ეძლევა.

მაგრამ, საკმარისია პიროვნება ამოვარდეს კერძო პრობლემათა ყალიბიდან და საკუთარი გატეხილი თავის ნაცვლად მთელი ერის ჭრილობაზე მიუთითოს, - ყველა გარანტია, ყველა უფლებრივი კატეგორია, რომელიც მას ადრე თითქოსდა იცავდა, აორთქლდება და იგი მარტო დარჩება უხეში ძალის პირისპირ. მეტიც, ამოქმედდება მთელი სისტემა, რათა ვინიცობაა არ შეილახოს მოძალადის უფლებები, რომლებიც ისედაც გარანტირებულია ძალისმიერი უპირატესობით.

* * *

ეს გამოცდილება, არსებითად, ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია ქართულ საზოგადოებაში არსებული განხეთქილებისა და იმ უნდობლობისაც, რომელიც ჩვენში ბუნებრივად გაჩნდა საერთაშორისო ჰუმანური ტენდენციების მიმართ. საქართველო არის ქვეყანა, სადაც შელახულია ერთ-ერთი ძირითადი საერთაშორისო პრინციპი, რომლის თანახმად, "ხალხის ნება, რაც გამოიხატება თავისუფლად და პატიოსნად პერიოდული და ნამდვილი არჩევნების დროს, წარმოადგენს ყოველი მთავრობის ხელისუფლებისა და კანონიერების საფუძველს" (პუნქტი 6. ეუთს-ის მონაწილე სახელმწიფოთა კონფერენციის კოპენჰაგენის თათბირის დოკუმენტი, 29.06.90). ამავე დროს, საქართველოსთან მიმართებაში, თავად ამ დოკუმენტის მიმღებმა სახელმწიფოებმა უარყვეს მათ მიერ დეკლარირებული ვალდებულება, რომ "ისინი აღიარებენ თავიანთ პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის მიხედვით ადამიანის უფლების დარგში და თავიანთი საერთაშორისო ვალდებულებებით პატივს სცემენ ხალხის ნებით არჩეულ დემოკრატიულ წესს და იცავენ მათ ცალკეული პირების, ჯგუფების ან ორგანიზაციების საქმიანობისგან, რომლებიც იყენებენ ან უარს ამბობენ დაგმონ ტერორიზმი ან ძალმომრეობა , რაც მიზნად ისახავს ამ წესრიგის დამხობას ანდა ასეთი წესრიგის დამყარებას სხვა მონაწილე სახელმწიფოში."

ამ რთულ ფორმულირებაში მარტივი აზრია ჩადებული: ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება არ შეიძლება იქნეს დამხობილი ძალადობით, მით უფრო, ერთი სახელმწიფოს მიერ მეორესთვის თავისი წესრიგის თავსმოხვევის მიზნით და თუ ამგვარი მცდელობა იქნა, იგი უნდა დაგმონ სხვა სახელმწიფოებმა. ამას გვამცნობს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპი და, ცხადია, მის წამკითხველ ქართველ კაცს მწარედ ჩაეცინება. და უნდა ჩაეცინოს კიდეც, ვინაიდან საქართველოში უკვე მოხდა ორივე დანაშაული, თავისი უმძიმესი შედეგებით. პასუხად კი - ზემოხსენებული საერთაშორისო მისიის წარმომადგენლები მორჩილად ასრულებენ მოძალადის ნებას და კომფორტული მანქანებით უმიზნოდ და უშედეგოდ დაქრიან გაპარტახებული ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, იქაც კი, სადაც ქართველს აღარ შეესვლება. და არავინ იცის, რა დაუკარგავთ, რა უნდათ, რას ეძებენ, რას იღებენ.

* * *

მართლაც, რას გულისხმობს ეს ცნება - ადამიანის უფლებები. რა არის იგი - სამართლიანობის დამყარების რეალური მექანიზმი, თუ პოლიტიკური სპეკულაციის ბერკეტი; ჭეშმარიტი იდეა, თუ მიამიტთათვის შეთხზული ეფემერა, სატყუარა?! შეიძლება თუ არა, დაჩაგრულ ადამიანს და, მით უფრო, დაჩაგრულ ქვეყანას, ჰქონდეს იმედი საერთაშორისო სამართლიანობის?

დღეს ეს კითხვები არც ისე ხშირად გაისმის, რამდენადაც იგულისხმება ყველგან და ყველაფერში: ისეთ მნიშვნელოვან პოლიტიკურ პრობლემაში, როგორიცაა აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარება და ლტოლვილთა დაბრუნება; როგორიცაა ამ ლტოლვილთათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება; სოციალური გარანტიების შექმნა გალატაკებული ხალხისთვის; პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა მიმართ ლიბერალური კურსის შემუშავება; სამოქალაქო უფლებების უზრუნველყოფა.

ყველა ამ პრობლემის სამართლიან გადაწყვეტას არეგულირებს საერთაშორისო სამართლის შესაბამისი ნორმები, მაგრამ რეალურად, საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს ნორმები თავის დროზე მხოლოდ იმისთვის შეიქმნა, რათა შემდგომ ქვეყნის ინტერესებით მანიპულირების საშუალება მისცემოდათ პრობლემების მოგვარების საბაბით. მაშ რა პასუხი შეიძლება გაეცეს უსახლკაროდ დარჩენილ, ღვთის გლახად ქცეულ ადამიანს, კანონის ერთგულებისთვის უსამართლოდ დაპატიმრებულს, ან ძალადობით მოკლულის ახლობელს? - დაგვეხმარება საერთაშორისო თანამეგობრობა. და გვიხსნის მოძალადისგან, რომელმაც გააჩანაგა ჩვენი ქვეყანა და ღირსება შეულახა ჩვენს ერს?..

მათ ამას ვერ დააჯერებ, მაგრამ ისინი მაინც ყვირიან მთელი მსოფლიოს გასაგონად. არა იმის იმედად, რომ მოუსმენენ და დაეხმარებიან, არამედ იმიტომ, რომ ვერ აიტანეს შეეგუონ უსამართლობას, შეიყვარონ მოძალადე. საკუთარ სახლში დახვრეტილი ვაჟკაცის მგლოვიარე დედა კარდაკარ დადის და ეძებს სამართალს არა იმის იმედით, რომ დასჯის მოძალადეს, არამედ იმ ერთადერთი აზრით, რომ არ მოასვენოს ავისმქმნელის ცოდვილი სული. ეს მისი უფლებაა, რომელიც თავისი ძალით და მნიშვნელობით აღემატება ყველა საერთაშორისო დოკუმენტის მიერ მონიჭებულ გარანტიას.

* * *

ჩვენი უფლებრივი იმპერატივის აღდგენისა და დაცვის საფუძველი ჩვენშივე არსებული სამართლიანობის შეგრძნებაა, ჩვენი სწრაფვა ჰარმონიისკენ და უზენაესი პრინციპით მონიჭებული უფლება - ვიყოთ თავისუფლები. ამ უფლებას საუკუნეების სიღრმეში აქვს გადგმული ფესვები და მისი ნაყოფი ჩვენი დაუმარცხებელი სულია. მაგრამ მისი მადლი და ძალა მანამდე გვაქვს მონიჭებული, სანამ ვიბრძვით ამ უზენაესი უფლების დასაცავად და არ ვეგუებით მის ხელმყოფელს.

ჩვენი გარანტიები ჩვენსავე შეურიგებლობაშია და არა გარე სამყაროდან მოვლენილ დეკლარირებულ სამართლიანობაში. რაოდენ გამარჯვებულიც არ უნდა ჩანდეს მოძალადე, საბოლოო მიზანს იგი მაინც ვერ მიაღწევს მანამ, სანამ ხედავს, რომ უარს არ ვამბობთ ჩვენს უფლებაზე გვიყვარდეს ჩვენი სამშობლო და ხალხი, გვტკიოდეს მისი სატკივარი და ვიბრძოდეთ მისი თავისუფლებისთვის; ჩვენი განკერძოებული პიროვნულობა უფრო იაფად გვიღირს, ვიდრე სხვათა უბედურება და ერის მარადიულობა; პირიქით, ჩვენი მეობის, ჩვენი პიროვნული ზნეობის წყარო ჩვენივე ქვეყანა და ხალხია.

ესაა ჩვენი უფლებების დეკლარაცია და გზა ჩვენი გამარჯვებისა.

***ანა ჭავჭავაძე***

---

●ყველა ადამიანს აქვს სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ხელშეუხებლობის უფლება.

●ყველა ადამიანს აქვს ვალდებულება საზოგადოების წინაშე. საზოგადოებისა, რომელიც ერთადერთი იძლევა მისი პიროვნების სრული და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას..

●ყველა ადამიანს აქვს უფლება იქონიოს თავისი მრწამსი და შეხედულებები.

●ყველა ადამიანს აქვს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება.

●ყველა ადამიანს აქვს მშვიდობიანი შეკრების და დემონსტრაციების მოწყობის უფლება.

●ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები დაბადებიდანვე ყველა ადამიანის განუყოფელი უფლებაა და ისინი კანონის მიერ არის გარანტირებული. მათი დაცვა და ხელშეწყობა მთავრობის უპირველესი მოვალეობაა. მათი პატივისცემა - მნიშვნელოვანი გარანტიაა ხელისუფლების გადამეტებული ძალაუფლების წინააღმდეგ.

---

# "ამ ხელისუფლების იურისდიქცია მხოლოდ ციხეებსა და პოლიტპატიმრებზე ვრცელდება"

**10 დეკემბერს სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციამ მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში გამართა პრესკონფერენცია**

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ შეხვედრაზე ჟურნალისტების კითხვებს პასუხობდა ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი კერვალიშვილი, რომელმაც 5 ნოემბრის არჩევნები შეაფასა როგორც უკანონო და ყურადღება გაამახვილა მისი მსვლელობისას დაშვებულ მასობრივ დარღვევებზე. საუბარი შეეხო ქართველ პოლიპატიმრებს, ციხეებში არსებულ უმძიმეს პირობებს, პატიმრების მიმართ წამების მეთოდების გამოყენებას.

"- ხელისუფლება დღეს იგივე მეთოდებს იყენებს თავისი დაპატიმრებული მომხრეების მიმართ, რასაც ადგილი ჰქონდა კანონიერი ხელისუფლების მომხრეების მიმართ, ვინაიდან წამება და პატიმართა დამუშავება შევარდნაძის ხელისუფლების ატრიბუტია." - განაცხადა ბ-ნმა გ. კერვალიშვილმა. იგი თვლის, რომ ამჟამად განსასჯელის სკამზე მყოფი უზენაესი საბჭოს წევრი, ზაურ ქობალია სინდისის პატიმარია და განთავისუფლებული უნდა იქნეს სასამართლო დარბაზიდან: "საბრალდებო დასკვნის მიხედვით, საქართველო, თურმე, ზაურ ქობალიას დაუნგრევია. ეს აბსურდია."

გ. კერვალიშვილმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უზენაესმა სასამართლომ, კერძოდ, თავმჯდომარის მოადგილემ ჯ. ყიფიანმა განიხილა ირაკლი დოკვაძისა და პეტრე გელბახიანის მიმართ გამოტანილი განაჩენის შეცვლის საკითხი და არ დააკმაყოფილა საჩივარი. ამდენად, სასიკვდილო განაჩენი კვლავ ძალაში რჩება. "ამ საკითხზე მე მქონდა საუბარი ალექსანდრე კავსაძესთან და მან მითხრა, რომ შეწყალების შუამდგომლობით მიმართა ხელისუფლებას." მიუხედავად ამისა, ბ-ნი კერვალიშვილი თვლის, რომ ადამიანის უფლებათა სახელმწიფო კომიტეტი იცავს არა ადამიანის უფლებებს, არამედ ინტერესებს ხელისუფლებისა, რომელიც არ რეაგირებს არც ადგილობრივი, არც საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალრიცხოვან პროტესტებზე. ამიტომაც, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციისა და თვით აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშების თანახმად, ადამიანის უფლებათა დარღვევების თვალსაზრისით, საქართველო ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

ჟურნალისტის კითხვაზე, ცნობილია თუ არა მისთვის, რომ ჯავახეთში ადგილი აქვს ქართული მოსახლეობის მასიურ შევიწროებას, გ. კერვალიშვილმა უპასუხა: "ამ ხელისუფლების იურისდიქცია მხოლოდ ციხეებსა და პოლიტპატიმრებზე ვრცელდება. რა გასაკვირია, რომ ქართველები იდევნებიან ჯავახეთში, სადაც საქართველოს იურისდიქცია არ მოქმედებს; აღარას ვამბობ აფხაზეთსა და შიდა ქართლზე, როცა ქართველები აქ, ჩვენს გვერდითაც ყოველ ნაბიჯზე იდევნებიან."

# ექსპერტიზის დასკვნას მნიშვნელობა არა აქვს

**სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ამჟამად ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მყოფ თამაზ ელაშვილს ესაჭიროება საგანგებო მკურნალობა სპეციალიზებულ სტაციონარში. უშიშროების სამსახური მათ აზრს არად მიიჩნევს და სასიკვდილოდ წირავს პოლიტპატიმარს**

ფაქტობრივად ამას მოასწავებს უშიშროების სამსახურის საგამოძიებლო სამმართველოს გამომძიებლის დ. ხაჩიძის მიერ ხელმოწერილი დადგენილება №12/45-1380 "შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ". მასში აღნიშნულია, რომ ძიებაში მყოფ თამაზ ელაშვილის "სტაციონარული მკურნალობის საკითხი მათ ხელთ არსებულ პირობებში შსს რესპუბლიკურ საავადმყოფოს არ დაუყენებია" და ამდენად, უარი ეთქვას მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ დაყენებულ შუამდგომლობაზე.

დადგენილება მიღებულია 13 ნოემბერს, მანამდე კი - 1-6 ნოემბერს გულის მძიმე ავადმყოფობით დაავადებულ თამაზ ელაშვილს ჩაუტარდა კომპეტენტური სამედიცინო ექსპერტიზა, რომელშიც მონაწილეობდნენ უშიშროების სამსახურის მიერ მოწვეული სპეციალისტები. მათ მიერ მიღებული დასკვნა №5/108 შედგება 9 გვერდისგან და შეიცავს ავადმყოფის მდგომარეობის საკმაოდ დაწვრილებით აღწერილობას.

კერძოდ, მასში აღნიშნულია, რომ არსებული სამედიცინო საბუთებით, თ. ელაშვილი გულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიით დაავადებულია ჯერ კიდევ 1975 წლიდან და იმყოფებოდა კარდიოლოგის დაკვირვების ქვეშ.

ექსპერტიზაზე მოწვეული სპეციალისტების მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად თ. ელაშვილს დაუდგინდა დიაგნოზი: გულის იშემიური დაავადება, არასტაბილური სტენოკარდია, ჰისის კონის მარცხენა ჰემიბლოკი, ექსტრასისტოლური არითმია, კორონალური სისხლის მიმოქცევის უკმარისობა, გულის ნაკლოვანება I-II ხარისხის, ქრონიკული ქოლეცისტიტური გამწვავების ფაზები, ქალა-ტვინის დახურული ტრავმის მყარი ნარჩენი მოვლენები. ჰიპოთალამური სინდრომი, შერეული ტიპის ვეგეტატური კრიზები.

"ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე თ. ელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის მონაცემებით, სამედიცინო თვალსაზრისით მისი ყოფნა იზოლაციის პირობებში ამჟამად არ შეიძლება. მას ესაჭიროება სტაციონარული მკურნალობა სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებებში კარდიოლოგიური პროფილით, როგორიც არის კარდიოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები." - ნათქვამია ექსპერტიზის დასკვნაში, რომელსაც ხელს აწერენ: სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის რესპუბლიკური ცენტრის უფროსის მოადგილე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უმაღლესი კატეგორიის ექსპერტი კ. მათიაშვილი, ამავე ცენტრის განყოფილების უფროსი, უმაღ. კატ. ექსპერტი ა. გეჯაძე, კლინიკური და ექსპერიმენტული კარდიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის რესპუბლიკური კარდიოლოგიური ცენტრის გულის უკმარისობის განყოფილების ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გ.ახმეტელი, კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ნევროპათოლოგი შ. ბიბილეიშვილი, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის შინაგან დაავადებათა აროპედენტიკის კათედრის დოცენტი, მედიც. მეცნიერებათა კანდიდატი ვ. მალაციძე.

ამასთან ექსპერტები აღნიშნავენ, რომ "თ.ელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, ამჟამად მასთან საგამოძიებო მოქმედების ჩატარება, როგორიცაა დაკითხვა, დაავადების ორგანული და ემოციური ზემოქმედების ბუნებიდან გამომდინარე, არ შეიძლება, რადგანაც აღნიშნულმა შესაძლებელია გამოიწვიოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, თუნდაც ისეთი სახის, როგორსაც ადგილი ჰქონდა 1995 წლის 19 ოქტომბერს."

ჩვენთვის ცნობილია, რომ, ამის მიუხედავად, გამომძიებელი დაბეჯითებით მოითხოვს დაკითხვის ჩატარებას და პატიმრისგან ჩვენების ჩამორთმევას. უკვე ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს ავადმყოფის მდგომარეობაზე, რომელიც მძიმე დეპრესიაშია და რამდენჯერმე გამოუთქვამს თვითმკვლელობის განზრახვა.

*მამუკა ტუსიშვილი*

# ადვოკატის აღდგენის საკითხი დღის წესრიგში დგას

ჩუღურეთის რ-ნის იურიდიულმა კონსულტაციამ დასვა საკითხი ადვოკატ იუზა ჯლამაძის კოლეგიაში აღდგენის თაობაზე, რის გარეშეც დამცველს არც მუშაობის, არც დაცვის განხორციელების უფლება არ ჰქონდა.

როგორც ცნობილია, თბილისის ჩუღურეთის რ-ნის იურიდიული კონსულტაციის თანამშრომელი, სამი შვილის მამა ი. ჯლამაძე გაძევებულ იქნა ადვოკატთა კოლეგიიდან თითქმის ერთი წლის წინ. მიზეზი ამისა იყო ის, რომ "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმეში" პოლიტპატიმარ ვ. დომუხოვსკის დაცვისას იგი მოქმედებდა დაცვის ქვეშ მყოფის კანონით გათვალისწინებული ინტერესებიდან გამომდინარე.

მანამდე, ამავე მიზეზით, ადვოკატთა კოლეგიიდან გააძევეს ვ. დომუხოვსკისა და ზ. წიკლაურის ადვოკატი, ბ-ნი თენგიზ ნიჟარაძე. ჩვენთვის უცნობია, მიმართეს თუ არა რაიმე ზომებს ვაკის რ-ნის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატებმა, სადაც იგი მუშაობდა, რათა აღდგენილ იქნეს მათი კოლეგის უფლებები.

საქართველოში სულ ახლახან ჩატარებულმა არჩევნებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რა ძალა იდგა 1991 წლის დეკემბერ-იანვრის პუტჩის მიღმა. არაფერი შეცვლილა გარდა იმისა, რომ ერთ დროს ეროვნულ ძალებთან მიტმასნილი პოლიტიკოსები კვლავ ქუჩაში აღმოჩნდნენ. არ შეცვლილა არსებული ხელისუფლების ბრძოლის მეთოდები, რადგან სამივე შემთხვევაში იგი ძალადობით მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, შესაძლოა, უფრო მეტი ძალადობითაც, ვიდრე დეკემბერ-იანვრის პუტჩის დროს.

ახალი პარლამენტი ცეკას ბიუროს კონტინგენტით დაკომპლექტდა, ალბათ, სულ მალე ასეთივე ტიპის მინისტრთა კაბინეტს ვიხილავთ. ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი მოგვარდა - ბელადი არჩეულია, სკამები გადანაწილებულია. ახლა სასურველია ხალხის ნდობა და სიყვარული მოიპოვოს გამარჯვებულთა კასტამ.

ნომერი არ [illegible] ზვიად გამსახურდიას "[illegible]". რას უნდა ნიშნავდეს ამგვარი მეტამორფოზა და რა შორეულ მიზნებს უნდა ისახავდეს საგანგებოდ ამოქმედებული "ახალი პოლიტიკა".

შინაგანი დამოკიდებულება ეროვნული ხელისუფლებისადმი და პრეზიდენტისადმი რომ იგივე დარჩა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ პოლიტიკური ანგარიშსწორება და რეპრესიები დღემდე გრძელდება. აქტუალობა არც "ზვიად გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმეს" დაუკარგავს. პოლიტპატიმრებით სავსეა ციხეები და ზოგიერთს სიკვდილის განაჩენიც კი აქვს გამოტანილი. გრძელდება პრეზიდენტის ოჯახის დევნა და შევიწროება, არავის აღელვებს ნანგრევებად ქცეული, გადამწვარი "კოლხური კოშკი".

ამ ფონზე, არსებული ხელისუფლების მხრიდან პრეზიდენტის სახელის რეაბილიტაცია ისევე ყალბად ჟღერს, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ფიცი, რომელიც არავის სწამს და არავის აკვირვებს. საქართველოს ბევრი ამგვარი კომუნისტური თვალთმაქცობა ახსოვს. თუნდაც მის მკვლელთა მიერ ილია ჭავჭავაძის რეაბილიტაცია რად [illegible] შინაც ასე იყო - მის ქრისტეს ძისძისდით სული ხდებოდა, ქუჩებს, პროსპექტებს, სასწავლებლებს კი ილიას ნათელ სახელს არქმევდნენ. ახლაც ასე მოხდება - სახელმწიფოს მეთაური, თუ დასჭირდა, ზვიად გამსახურდიას მეგობრად და თანამოაზრედ გამოაცხადებს თავს. ოღონდ ჯერ საზოგადოებრივი აზრი მომზადდება. ამისთვის გაირჯებიან პოეტები, რეჟისორები, არტისტები, საზოგადო მოღვაწეები, ანუ ყოფილი ცეკას ბიურო, იგივე სახელმწიფო საბჭო, იგივე "იმედის" პარლამენტი, იგივე ახლანდელი "მთავრობის სასახლის მშვენება".

# ბებერი მეზურნეები

ძველმა კომუნისტურმა "ელიტამ" ბოლოს და ბოლოს ყველა პრივილეგია აღიდგინა, მაგრამ ამის სანაცვლოდ, დაკარგა ავტორიტეტი და საკუთარი ხალხის სიყვარული. ამას მოწმობს ცარიელ დარბაზებში გამართული სპექტაკლები, კინოჩვენებები, გამოფენები; არაკეთილგანწყობილი რეაქცია მათ გამოჩენაზე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თუ, უბრალოდ, ქუჩაში და, რაც მთავარია, დაკარგული სიმშვიდე, რომელსაც ვერასოდეს დაიბრუნებ, მით უმეტეს, თუ შემოქმედებითი სიბერწეც შემოგეპარება.

გამოსავალი ამ არცთუ ისე სასიამოვნო მდგომარეობიდან ვერა და ვერ მოინახა. "მხედრიონი" მოსპეს, ჯაბა დაიჭირეს, გიორგაძე გააქციეს, მაგრამ ხალხის გული ვერაფრით მოიგეს. დარჩა მხოლოდ ერთი გზა - დაიბრუნო ავტორიტეტი სწორედ იმ მიზეზის მეშვეობით, რის გამოც ის დაკარგე.

***

ზვიად გამსახურდიას სახელის მოჩვენებითი რეაბილიტაცია ჯერ კიდევ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში წამოიწყო არსებულმა ხელისუფლებამ. ქართველი ერის თვალში დისკრედიტირებულმა "ელიტამ" ავტორიტეტის აღდგენა ზვიად გამსახურდიას სახელით სცადა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან მათი ფიასკო სწორედ მაშინ დაიწყო, როდესაც ცილისმწამებლური კამპანიითა და პათოლოგიური ჭორებით გადაწყვიტეს ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტის შერყვნა და ქართველთა ცნობიერებიდან მისი სახელის ამოძირკვა. ბუმერანგის პრინციპით, ავისმქმნელთ ყველაფერი უკან დაუბრუნდათ და, მეტიც, მათი ოპონენტის სახელმაც უფრო ამაღლებულად გაიჟღერა.

რატომ დასჭირდათ ხელისუფლთ მათთვის საძულველი და სახიფათო პიროვნების რეაბილიტაცია და რა მიზნით აპირებენ მომავალში მისი სახელის გამოყენებას?

არჩევნების წინ არსებული ხელისუფლების მხრიდან ამგვარი ნაბიჯები იაფფასიან საარჩევნო ტრიუკად აღიქმებოდა. ჯაბა იოსელიანისა და "მხედრიონის" დისკრედიტაციის პირდაპირპროპორციულად იზრდებოდა ზვიად გამსახურდიას სახელის მოჩვენებითი რეაბილიტაციის უსუსური მცდელობაც.

ეს საარჩევნო ტრიუკიც საგანგებოდ იქნა მოფიქრებული, რათა არჩევნებზე ხალხი მეტი ენთუზიაზმითა და იმედით მისულიყო.

ალბათ, არც ის ხმები უნდა იყოს საფუძველს მოკლებული, რომ თითქოს ედუარდ შევარდნაძე დეკემბერ-იანვრის მოვლენების შეფასებას აპირებს, მით უმეტეს, გაზეთის "პარლამენტი" ბოლო

დეკემბერ-იანვრის მოვლენები ქაშუეთის ეკლესიაში მოკალათებულ გვარდიას დაბრალდება, სამეგრელოს აწიოკება - "მხედრიონს", აფხაზეთის დაკარგვა - კიტოვანსა და ყარყარაშვილს, ცხენისწყლის შეიარაღებული დაპირისპირება - "დაუმორჩილებლობის კომიტეტს", ტერორისტული აქტები - უშიშროების სამსახურს, კოლაბორაციონისტული ხელშეკრულებების რატიფიკაცია - პარლამენტს.

როგორც მეთაური იტყოდა: "მიტევების თხა" არ დაილევა. ხოლო მათ, ვინც იდეოლოგიურად მოამზადეს ის ტრაგედია, რომელიც საქართველოში დატრიალდა, სინდისი "სუფთად" შეენახებათ. ახლა ელიტას ერთადერთი საზრუნავი დარჩა - ერთმანეთს შეეჯიბრონ მეთაურის სიყვარულში, ყველა გზითა და მეთოდით აღადგინონ მისი შელახული ავტორიტეტი და არცთუ ისე სახარბიელო მორალური სტატუსი. ამისთვის კი საჭიროა მისი იმიჯის შელამაზება იმათი სახელებით, ვინც ხალხის ცნობიერებაში ღვთაებრივ იდეალებთანაა იდენტიფიცირებული.

***

კვლავ დაუბრუნდა ნომენკლატურა განახლებული სტატუსით იმ შენობას, სადაც წინათ ცეკას ბიუროს სხდომები იმართებოდა. "ბებერი მეზურნეები" კვლავ ერთად შეიყარნენ მივიწყებული მელოდიების ასაჟღერებლად. ერთად შეიყარნენ, რათა "კურთხეულ ქურუმს" მთელი გზნებითა და თავგანწირვით კიდევ ერთხელ უმღერონ ქების სიმღერა.

*ქ.ქ.*

# საქინფორმის ვარიაციები გამქრალი გემის თემაზე

**ერთი წლის წინ აფხაზეთის სანაპიროს მახლობლად აფხაზთა მიერ დატყვევებული იქნა ბათუმიდან გასული გემი "სპარტაკი", რომელზედაც, ეკიპაჟის ჩათვლით, 19 ადამიანი იმყოფებოდა**

ინფორმაცია ამ ფაქტთან დაკავშირებით უაღრესად მწირია და ეს გასაგებიცაა, ვინაიდან ყველაზე სარწმუნო ვერსიით, გემი და მისი მგზავრები დატყვევებულნი იქნენ აფხაზთა მიერ ბიჭვინთის მახლობლად და ამჟამად იმყოფებიან აფხაზეთის ტერიტორიაზე, საიდანაც სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება თითქმის შეუძლებელია. თუმცა სხვადასხვა სააგენტოები, პრესა და ტელევიზია პერიოდულად უბრუნდებიან ამ თემას, მაგრამ ცნობებში ახალი დეტალები თითქმის არ ფიგურირებს. ამიტომ, ბუნებრივ ინტერესს იწვევს ნოემბრის ბოლოს საქინფორმის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გვამცნობს, რომ "თითქმის ერთი წლის დაგვიანებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამართალდამცავმა ორგანოებმა აღძრეს სისხლის სამართლის საქმე" ამ ფაქტთან დაკავშირებით და იქვე "სპარტაკის" გაუჩინარების, ერთის შეხედვით, ახალი ვერსიაა შემოთავაზებული.

უპირველესად აღსანიშნავია, რომ ამ ცნობაში პირველად გაიჟღერა აზრმა გემის დაღუპვის თაობაზე: "წინასწარი მონაცემებით, კატასტროფა მოხდა ტუაფსეს რაიონში. არაოფიციალური მონაცემებით, "სპარტაკი" ხელთ იგდეს აფხაზმა სეპარატისტებმა." - გვატყობინებს საქინფორმი. რომელიც ან, ელემენტარულად, არ ფლობს ინფორმაციას, ან, პირიქით, ფლობს და შეგნებულად ცდილობს საზოგადოებისთვის ახალი ვერსიის შემოპარებას.

საქმე იმაშია, რომ ტუაფსეს მახლობლად მართლაც განიცადა კატასტროფა გემმა, მაგრამ ეს მოხდა სრულიად სხვა დროს, გემს არ ერქვა "სპარტაკი" და იგი გავიდა არა ბათუმიდან, არამედ ფოთიდან. რაც შეეხება "სპარტაკს", აქამდე არავის დაუყენებია ეჭვქვეშ ის ვერსია, რომელსაც საქინფორმი არაოფიციალურს უწოდებს. აქედან გამომდინარე, ალბათ, მკითხველმა უნდა იფიქროს, რომ "წინასწარი მონაცემების" საფუძველზე დამუშავებული გემის დაღუპვის ვერსია კომპეტენტური ორგანოების კვლევის შედეგად გაჩნდა.

სინამდვილეში, "სპარტაკისა" და მისი მგზავრების საკითხი, პრაქტიკულად, გაყინულია მიუხედავად იმისა, რომ დაკარგულთა ოჯახის წევრებმა განგაში ატეხეს ამ ფაქტიდან უკვე ორი კვირის თავზე და თავიანთი უბედურების შესახებ ხმა მიაწვდინეს არა მხოლოდ სამართალდამცავ ორგანოებს, არამედ საპარლამენტო კომისიებს (ადამიანის უფლებებისა და თავდაცვის), ადამიანის უფლებათა და ეროვნებათაშორის ურთიერთობათა სახელმწიფო კომიტეტს, მინისტრთა კაბინეტს და თავად შევარდნაძეს.

გარდა ამისა, ინფორმაცია მიეწოდათ გაერო-ს, საერთაშორისო წითელი ჯვრისა და უცხო ქვეყნების საელჩოებს როგორც საქართველოში, ისე რუსეთში, რუსეთის დუმის კომისიებს. ეს გაპირობებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ დაკარგულთა შორის ერთ-ერთი რუსეთის მოქალაქე, ქ.იაროსლავლის მკვიდრია, არამედ უპირველესად იმით, რომ აფხაზეთის რეგიონში ვითარების კონტროლს რეალურად განახორციელებს რუსეთის ჯარი გაერო-ს ეგიდით.

ნიშანდობლივია, რომ თბილისის მმართველ წრეებში დაკარგულთა ნათესავებს მხოლოდ მას შემდეგ მიაპყრეს ელემენტარული ყურადღება, რაც ზემოხსენებული იაროსლაველი მგზავრის ოჯახის წევრთა აქტიურობამ იძულებული გახადა ეღიარებინათ ეს ტრაგიკული ფაქტი. მანამდე კი პასუხი ასეთი იყო - ჩვენ არაფერი ვიცით. ამდენად, საქინფორმი კიდევ ერთხელ სცოდავს, როდესაც მკითხველს აუწყებს, თითქოს "უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ნათესავებმა, რომელთა შორის არიან კასპის რაიონის მაცხოვრებლებიც (?!), საჭიროდ არ მიიჩნიეს მიემართათ რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოებისთვის."

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამ საკითხს იკვლევს სახელმწიფო უშიშროების სამსახური, მაგრამ გაოცებას იწვევს თავად საკითხის დასმა: ნათესავებს რომც არ მიემართათ (სხვათა შორის, მათში ჩამდვილი თბილისელებიც ურევია), განა ხელისუფლება არ რის ვალდებული იზრუნოს თავის მოქალაქეებზე, რომლებსაც მშვიდობის (თუნდაც ფორმალური მშვიდობის) პირობებში აკავებენ ერთი წლის განმავლობაში და ტყვედ ჰყავთ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ამ ხელისუფლების მიერ სამშვიდობო მისიით მოწვეული უცხო ქვეყნის ჯარი აკონტროლებს?!

გარდა ამისა, თავად ფაქტი გემის გატაცების ცნობილია ამ ორგანოებისთვის და იგი, სხვათა შორის, სცილდება კონკრეტულ მოქალაქეთა უფლებათა შელახვის საკითხს. ეს სახელმწიფოებრივი პრობლემაა, რომელიც აშკარავებს ხელისუფლების სრულ უუნარობას, რაიმე ზეგავლენა იქონიოს იმ საერთაშორისო თუ რუსეთის მისიებზე, რომლებიც აფხაზეთში მისი მანდატით სარგებლობენ.

სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ საქინფორმის ინფორმაცია არ წარმოადგენს უცოდინრობის უწყინარ გამოვლინებას და მისი მიზანია, ერთი მხრივ, თავს მოახვიოს საზოგადოებას ამ ტრაგიკული შემთხვევის პარალელური ვერსია და, მეორე მხრივ, იპოვოს განტევების ვაცი. ვინ იქნება ეს - აჭარის პროკურატურა, თუ დაკარგულთა ნათესავები, როგორც ჩანს, სულ ერთია, თითქოს მათ თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ და, რაც მთავარია, ერთნაირი შესაძლებლობები გააჩნიათ.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოების მუშა ჯგუფის**

# განცხადება

**1995 წლის 5 დეკემბერს გაიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოების კონფერენცია, რომელზედაც გადაწყდა, რომ საზოგადოება გამოსულ იქნეს "ეროვნული ხსნის მოძრაობა - წინააღმდეგობის ფრონტის" შემადგენლობიდან და ფუნქციონირება გააგრძელოს როგორც დამოუკიდებელმა ორგანიზაციამ თავისი წესდებისა და პროგრამის შესაბამისად.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოლიტიკური სასამართლო პროცესი გრძელდება

## ყველაფერი ზაურ ქობალიას ბრალდება

ამაში გვარწმუნებს საბრალდებო დასკვნა, რომლის კითხვაც გრძელდებოდა უზენაეს სასამართლოში 29-30 ნოემბრის სხდომებზე. მეტიც, საბრალდებო დასკვნაში იგი, ზვიად გამსახურდიასთან ერთად, ფიგურირებს როგორც შეთქმულების მთავარი იდეოლოგი. მიუხედავად ამისა, იმავე დასკვნის მიხედვით, იისთქმის გაუგებარია, კონკრეტულად რომელი დანაშაულებრივი ქმედება აქვს მას ჩადენილი.

პროკურატურის ეს 400 გვერდიანი შემოქმედებითი ნაღვაწი, შეიძლება ითქვას, ნამდვილი ისტორიული განძია, რომელშიც თავმოყრილია საქართველოში ბოლო ოთხი წლის განმავლობაში მომხდარი ყველა უბედურება - დაწყებული სარკინიგზო ვაგონების ძარცვით და დამთავრებული აფხაზეთის ომის წაგებით. და, ცხადია, ყველაფერი ეს ჩაიდინეს პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეებმა ზაურ ქობალიას იდეოლოგიური ხელმძღვანელობით. ის კი არა, აღნიშნულია გაზეთ "აღდგომის", როგორც დაუმორჩილებლობის კომიტეტის იდეოლოგიური რუპორის, მოღვაწეობაც კი. მოქმედ პირთა ნუსხა მოიცავს კანონიერი ხელისუფლების პრაქტიკულად ყველა წარმომადგენელს და იმდენად ვრცელია, რომ მათ ჩამოთვლას გაზეთის რამდენიმე გვერდი დასჭირდებოდა.

აშკარაა, რომ ზაურ ქობალიას სასამართლო პროცესი ძიებისთვის ერთგვარ საცდელ პოლიგონს წარმოადგენს, რომელზედაც უნდა მოხდეს ბრალმდებელი მხარის პოზიციების განმტკიცება. საფიქრალია, რომ სწორედ ამიტომ დაინერგა ერთი საქმის დაყოფისა და მისგან კონკრეტულ პირთა საქმეების ცალკე გამოყოფის პრაქტიკა.

4 დეკემბერს, ზაურ ქობალიას პოლიტიკურ განცხადებამდე, სასამართლოს წინაშე წარსდგა ე. წ. დაზარალებული - მინისტრთა კაბინეტის იურიდიული განყოფილების უფროსი, დურმიშხან ლორია, რომელმაც ადვოკატის შეკითხვაზე, იცის თუ არა მან კონკრეტულად რა დანაშაულებრივი ქმედებები ჩაიდინა განსასჯელმა, რითაც ზარალი მიაყენა სახელმწიფოს, დაზარალებულმა უპასუხა, რომ ჯერჯერობით მზად არ არის ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად. ამასთან, მან საჭიროდ ჩათვალა აღენიშნა, რომ მხარს დაუჭერს სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას.

8 დეკემბერს, ზაურ ქობალიას სასამართლო პროცესის მორიგ სხდომაზე დაკითხულ იქნა ბრალდების რამდენიმე მოწმე. მათი უმრავლესობა წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონების ნომენკლატურული თანამდებობების პირებს. ჩვენებები შეეხებოდა იმჟამინდელ პოლიტიკურ და სამეურნეო მდგომარეობას მათ რაიონებში. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მოწმე, კერძოდ, აბაშის გამგებელი - სოსო ჭანტურია, პოლიციის უფროსი - ავთანდილ ბესელია, მარტვილის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი - ანატოლი ჭიჭალუა მონაწილეობდნენ 30 სექტემბერს ზუგდიდში გამართულ კანონიერი ხელისუფლებისა და მინისტრთა კაბინეტის შეკრებაში.

ს.ჭანტურია: - იყო 12 კაცის სია, ვინც დაგვიბარეს ზუგდიდში თათბირზე, იქ იყო გადაბირება, დაშინება. იყო მსჯელობა ფულად ოპერაციებზე, იარაღის შემოტანაზე. აქტიურობდნენ აბსანძე და გელანტია; ზაურ ქობალიაც იქ იყო.

ნი ბედი მაშინ გადაწყდებაო. 17 სექტემბერს, ღამე ვ. ქობალიამ დამირეკა, მომთხოვა მანქანები და საწვავი - აფხაზეთში მივდივართ და გვჭირდება; შევარდნაძესთან შეთანხმებულიაო. დავრეკე თბილისში, სიგუა არ იყო, შევარდნაძე სოხუმში იყო. ველაპარაკე ვაჟა ლორთქიფანიძეს, მითხრა - დაეხმარეთო. გავამზადე 5 იკარუსი. 25-ში წავიდნენ, მაგრამ სოხუმის დაცვაში არ მიუღიათ მონაწილეობა.

მოწმის ამ განცხადებას დარბაზის აღშფოთება მოჰყვა. ადვოკატის კითხვაზე, თუ საიდან იცის, სოხუმში რა ხდებოდა, გ. ადანაიამ უკან დაიხია, რადგან ფრონტის ამბების ანალიზი აშკარა შეუსაბამობაში მოდიოდა მის მიკროინფარქტის დიაგნოზთან. სხვა მოწმეებისგან განსხვავებით, ზ. ქობალია მას საერთოდ არ უნახავს და არ შეხვედრია.

მეტისმეტი მონდომებისგან, გ. ადანაიას ბრალდებისთვის სავალალო შეცდომა მოუვიდა. პროკურორის კითხვაზე, ხდებოდა თუ არა, თანხების შეგროვება

## ფუნქციონერთა თავდითოგანი სისტემის სამსახურში

ა.ბესელია: - ზუგდიდში ჩამოვიდა გუგუშვილი. მან თქვა, რომ დაიწყო კანონიერების აღდგენა, ეს პროცესი შეუქცევადია და გვთხოვა გამოგვეხატა პოზიცია. შემოგვთავაზეს - რაიონი ემართა კომენდანტურას. კანდიდატად დასახელდა ყოფილი პრეფექტის მოადგილე, გია გაბელია. იგი დაასახელა ზაურ ქობალიამ, რომელიც მანამდე იყო ხსნის კომიტეტის თავმჯდომარე.

ა.ჭიჭალუა: - ზ. ქობალიას არ ვიცნობდი. ზუგდიდში ვნახე პირველად - დარბაზში იჯდა, მოვიდა და გვკითხა, რაიონში რა ხდებაო. მანამდე, ივნისში, მძიმე კრიმინოგენული მდგომარეობის გამო, რაიონში შემოვიდა ორმოცკაციანი შეიარაღებული ჯგუფი. აგვისტოში სიტუაცია დაიძაბა. იყო დაბომბვა ჰაერიდან. გამოგვიყვანა ქობალიას ხალხმა - თქვენი მთავრობა გბომბავთ და გაეცით ხალხს პასუხიო. ბავშვები და ქალები გაიყვანეს ქალაქიდან.

კითხვაზე, მოჰყვა თუ არა დაბომბვას მსხვერპლი, ა. ჭიჭალუამ უპასუხა, რომ მაშინ მარტვილის ერთი მცხოვრები დაიჭრა და ერთი დაიღუპა.

თანამდებობის პირ მოწმეთა ჩვენებებს ერთი საერთო ნიშანი ჰქონდათ - ისინი მონდომებით ცდილობდნენ შთამბეჭდავად აეწერათ საკუთარი საგმირო საქმეები. მაგალითად, ა.ჭიჭალუამ არ გადასცა დაფასოებული ჩაი ჯ.ბოკუჩავას სამეგრელოს აღორძინების ფონდისთვის; ა.ბესელიამ გადამალა იარაღი და არ მისცა იგი მხატვარ ვახტანგ ნოდიას, აგრეთვე, პატიმრები წინასწარი დაკავების საკნიდან ქუთაისის იზოლატორში გადაიყვანა; ს.ჭანტურიამ 30 სექტემბრის ზუგდიდის თათბირის შემდეგ დატოვა რაიონი და თბილისს მიაშურა; სენაკის უშიშროების სამსახურის უფროსი გ.ადანაია კი, რომელიც, თურმე, 24 აგვისტოდან 15 სექტემბრამდე მიკროინფარქტით იწვა, 16 სექტემბერს სწვევია სენაკის რაიონის აქტივის კრებას, სადაც ვახტანგ ქობალიასთვის მედგრად განუცხადებია, რომ მას ეს მთავრობა აძლევს ხელფასს და ამიტომ, არ გადავა გამსახურდიას მხარეზე.

მოწმე გურამ ადანაიას ჩვენება საყურადღებო იყო იმით, რომ გამოირჩეოდა აშკარა აგრესიულობითა და ბრალდებისთვის სასარგებლო ფაქტების მოყვანის სურვილით, მაგრამ, რეალურად, მეტად წინააღმდეგობრივი იყო და ხშირ შემთხვევაში საპირისპირო ეფექტსაც კი აღწევდა.

გ. ადანაია: - ვმუშაობდი სენაკის გამგებლის მოადგილედ. ლოთი ქობალიას შეიარაღებული ფორმირებების შემოსვლას 1993 წლის იანვრიდან ოთხჯერ ჰქონდა ადგილი, რასაც თან ახლდა სროლა, ნგრევა, მატერიალური ზარალი. მე მემუქრებოდნენ, ჩეკისტს და უკანონო მთავრობის მომხრეს მეძახდნენ. 16 სექტემბერს, 12 საათზე ვესწრებოდი აქტივის კრებას, რომელსაც ვახტანგ ქობალია ატარებდა. მან თქვა: ჩვენ სამხედროები ვართ და სამოქალაქო საქმეში არ ვერევით, განაგრძეთ თქვენი საქმე, საშემოდგომო სამუშაოებს მიხედეთო, ხოლო როდესაც პრეზიდენტი ჩამოვა, თქვე-

შეიარაღებისთვის, მან უპასუხა, რომ ვ. ქობალიას შემოსვლამდე ქალაქში იდგნენ შონია და ბუცხრიკიძე 500-მდე პოლიციელით. იდგა მათი კვების საკითხი, რისთვისაც საწარმოებს ევალებოდათ თანხების გაღება. შეგროვდა 35 მილიონი კუპონი. 20 მილიონი მათ გამოიყენეს, ხოლო 15 მილიონი კუპონი ვ.ქობალიას საფინანსო განყოფილების მიერ იქნა ათვისებული, კერძო პირებისა და საწარმოების სხვა შემოწირულობებთან ერთად. ამგვარად, მის პასუხში ჩანდა, რომ სამთავრობო პოლიციის შესანახად საწარმოებზე "შეწერილი" იყო თანხები, რომელთა ნაშთი კანონიერმა გვარდიამ ოფიციალური საფინანსო ოპერაციების მეშვეობით აითვისა. შემოწირულობაც ასევე ლეგალური ფინანსური ოპერაციებით ხორციელდებოდა.

8 დეკემბერს დაიკითხა სამტრედიის გამგებლის მოადგილე გივი ღლონტი, რომელმაც მოუთხრო სასამართლოს იმ მატერიალური ზარალის შესახებ, რომელიც განიცადა სამტრედიამ ერთი კვირის განმავლობაში სამოქალაქო ომში მონაწილე დაპირისპირებულ მხარეთა მხრიდან. ზაურ ქობალიას იგი იცნობს ეროვნული მოძრაობის ადრეული პერიოდიდან. სამოქალაქო ომის პერიოდში არსად შეხვედრია, მხოლოდ ერთხელ მოუსმინა ტელევიზიით, როდესაც ამ უკანასკნელმა მოუწოდა ხალხს დაუმორჩილებლობისკენ.

სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილ ბრალდების მოწმეთა ჩვენებებიდან აშკარად გამოიკვეთა 1993 წელს, განსაკუთრებით კი ამ წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის სურათი სამეგრელოში, რომლის მიხედვითაც, სიტუაციას აკონტროლებდა კანონიერი ხელისუფლების მომხრე ძალები. ხოლო ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ დანიშნული თანამდებობის პირები, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო, - ან ემორჩილებოდნენ მათ, ან, მოლაპარაკების შედეგად, ერთობლივად მოქმედებდნენ. დღეს ისინი ცდილობენ შექმნან შთაბეჭდილება, რომ იძულებით აკეთებდნენ ამას, ან წინ აღუდგებოდნენ კანონიერი ხელისუფლების მოთხოვნებს, მაგრამ კონკრეტულად ვერც ერთი ვერ აღწერს ამ იძულების ფორმებს. რეალურად, მათი ჩვენებებიდან იკვეთება, რომ არავითარი ძალადობა არ არსებობდა, უბრალოდ, მათ პოზიციას უპირისპირდებოდა ხალხის საერთო განწყობილება, რომლისთვისაც წინააღმდეგობის გაწევა თითქმის შეუძლებელი იყო. როგორც ცნობილია, განსასჯელ ზ.ქობალიას საქმეში 160-მდე მოწმე გადის, რომელთა უმეტესობა ბრალდების მხრიდანაა დასახელებული. თუ მათი ჩვენებების საერთო ტენდენცია ასეთივე დარჩება, მაშინ, სამართლიანი სასამართლოს პირობებში, განსასჯელის სრულ გამართლებას უნდა ველოდოთ, ხოლო 1993 წლის მოვლენებისა და საქართველოში მომხდარი პოლიტიკური კოლიზიების სურათმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადოს.

*ს. გ.*

## გენერალი ჭუმბურიძე იძლევა ჩვენებებს

**6 დეკემბერს** ზაურ ქობალიას სასამართლო პროცესზე მოწმედ დაიკითხა გვარდიის გენერალ-მაიორი ჯემალ ჭუმბურიძე. მოსამართლის კითხვაზე, იცნობს თუ არა მსჯავრდებულს, მან განაცხადა, რომ მხოლოდ ერთხელ შეხვედრია მას თბილისის ზღვაზე, 1991 წლის დაპირისპირების დროს. მაშინ ზაურ ქობალია, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატი, შუამავლის მისიით მივიდა მათთან, როგორც ოპოზიციასთან, რათა არ დაღვრილიყო სისხლი. ამას გარდა, ერთხელ დაუნახავს ზუგდიდში, გვარდიის შტაბის ეზოში, როდესაც ტექნიკის გატარების საკითხზე იყო მისული ლოთი ქობალიასთან.

პროკურორის უკვე ტრაფარეტად ქცეულ კითხვაზე, რა იცის აფხაზეთიდან ჯარის გამოყვანისას ტექნიკის ჩამორთმევის შესახებ, მოწმემ შორიდან დაიწყო: "6 იანვრის შემდეგ პრეზიდენტის მომხრე გარკვეული ძალები განაგრძობდნენ წინააღმდეგობას. მაშინ გვარდიის ნაწილები დასავლეთ საქართველოსკენ გააგზავნეს გია ყარყარაშვილის მეთაურობით, ჩვენ რუხის ციხესთან დავბანაკდით. აქ გვარდიის ჯარისკაცებმა საქონელი დახოცეს, მაგრამ ჩვენ ავუნაზღაურეთ მოსახლეობას ზარალი. მერე მოხდა შეტაკებები და გზაზე თორმეტი კაცი მოგვიკლეს, ვინ იყვნენ მკვლელები, არ ვიცით.

შემდეგ იყო აფხაზეთი. გვიჭირდა გასვლა. გვქონდა მოლაპარაკებები ლოთისთან, რათა გავეტარებინეთ. ხანდახან გვეუბნებოდა: - მე რომ გაგიშვათ, შეიძლება ხალხი გადაგიდგეთო და მაშინ ზღვით გავდიოდით. ზოგჯერ ავტოტრანსპორტს გვართმევდნენ და კუბოებს გვიხსნიდნენ ზუგდიდის კომენდანტის - ზარანდიას და მისი მოადგილის - ბურჭულაძის ბრძანებით. სოხუმში ლაკია იყო შტაბის უფროსი და ხუნტას გვეძახდა..."

პროკურორის კითხვას, თუ ვინ ართმევდა ტექნიკასა და იარაღს სამთავრობო ჯარს, მოწმემ ასე უპასუხა: " იარაღზე ნადირობა სულ იყო. როცა სოხუმი დაეცა, ჩვენ ცენტრში ვიდექით. ქობალიას ხალხი ნახევარკუნძულზე იდგა, სადაც კოდორი უერთდება ზღვას. ხიდი დაკავებული ჰქონდათ აფხაზებს, ამიტომ ჯარი კოდორის ხეობას მიუყვებოდა, ტექნიკა კი ზემოდან მოდიოდა. ეს არ იყო ექსპრეზიდენტის მომხრეთა მიზეზით, მაგრამ ფეხით ვინც მოდიოდა ფონით, იმათ კი ართმევდნენ ავტომატებს. ცოტამ თუ შეინარჩუნა იარაღი თავის კაიბიჭობით. ოჩამჩირეში იდგა 24-ე ბრიგადა. ისინი გალით წავიდნენ ზუგდიდისკენ. მოვიდა ინფორმაცია, რომ დააკავეს და ტექნიკა ანაკლიაში გადააგზავნესო. მე მარტო დავრჩი, დავკარგე 8 ტანკი და 4 "ბეემპე". ბრიგადის მეთაურმა, სვანი იყო, მირჩია - ჯვარით წავიდეთო . იქაც ექსპრეზტიდენტის მომხრეები იდგნენ, მაგრამ ჩემი ხალხი - 400 კაცი - გაატარეს, შეტაკება არ ყოფილა.

ადვოკატმა თემურ გოქსაძემ მოწმე ჭუმბურიძეს ჰკითხა, თუ რა იცოდა მან ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, რაზეც მოწმემ მიუგო, რომ თვითონ არ ესწრებოდა ამ მოლაპარაკებებს, მაგრამ ექსპრეზიდენტის მომხრე შენაერთები უკვე იმყოფებოდნენ ნახევარკუნძულზე. " მანამდე გვქონდა მოლაპარეკება ბათუმში, რომელსაც ესწრებოდნენ ფაცაცია, გიორგაძე, გვარამია, აბაშიძე, მე; ხოლო მათგან: შურღაია, გელანტია, ლოთი ქობალია. სოხუმში აფხაზებმა უკვე ხელშეკრულება დაარღვიეს, ჩვენ კი ტექნიკა ფოთში გვყავდა გამოყვანილი. ბათუმის მოლაპარაკების თანახმად, უნდა გახსნილიყო ფოთი-სენაკის რკინიგზა, უნდა გავერთიანებულიყავით გურია-იმერეთის ნაწილებთან და ერთად გვეომა. ეს ხელშეკრულება მე მაქვს ხელმოწერილი.

2 ივლისს, დესანტის გადმოსხმის შემდეგ, დავიწყეთ შეტევა. ისინი ოჩამჩირედან მოდიოდნენ ზღვისპირეთით და გამოხშირვას ახდენდნენ, ჩვენ მეორე მხრიდან მხედრიონს მივეშველეთ. მივედით ტამიშში. ხიდი დანგრეული იყო და აღვადგინეთ. იქ მოვიდა ლოთიც თავისი ხალხით და ერთად შევედით სოხუმში."

ადვოკატის თხოვნით, მოწმემ კვლავ დაბეჯითებით გაიმეორა, რომ კოდორის ხიდი აფხაზებს ეჭირათ და ამ მიზეზით წამოვიდა ჯარის ნაწილები სვანეთით, სადაც იდგნენ ექსპრეზიდენტის მომხრეები, მაგრამ არავითარი ექსცესები არ ყოფილა; თან დასძინა, რომ ზაურ ქობალიას თანამდებობის შესახებ მას არაფერი სმენოდა და მხოლოდ ახლა შეიტყო სამეგრელოში დაუმორჩილებლობის კომიტეტის არსებობის თაობაზე.

**ადვოკატი:** -თქვენ გვარდიაში იყავით, ერთგულების ფიცი მიეცით პრეზიდენტს და ოპოზიციაში როგორ აღმოჩნდით?

**მოწმე:** - ამას წინ უძღოდა რკონი. ჩვენი მოთხოვნა იყო გვარდიის სახელის აღდგენა, მაგრამ მერე ჩაერთო პოლიტიკური ძალები - პაატაშვილები და სხვები.

**მოწმე:** - დიახ, ჩვენ ფიცი მივეცით პრეზიდენტს და რომ დარჩენილიყო, შეიძლება, ისევ ისე გვემსახურა.

ბოლოს განსასჯელსაც მიეცა კითხვის დასმის საშუალება.

**განსასჯელი:** - მე აფხაზეთში სამხედრო მოქმედებებთან კავშირი არ მქონია, მაგრამ რადგან აქ ამაზე საუბარი იყო, იქნებ თქვათ, ოჩამჩირეს დატოვების შემდეგ შეგეძლოთ თუ არა გალის რაიონის დაცვა?

**მოწმე:** - დიახ, შეგვეძლო და გვინდოდა ღალიძგაზე დადგომა, მაგრამ გალში იყო გამგებელი ცატავა, რომელმაც არ გაგვაჩერა - უნდა წახვიდეთო, ჩვენ აქ აფხაზებთან კარგი ურთიერთობა გვაქვს და არას გვავნებენ, თქვენს გამო კი დაგვბომბავენო.

**განსასჯელი:** - მერედა, თქვენ, გვარდია, გამგებელ ცატავას ბრძანებას ემორჩილებოდით, თუ სამხედრო ხელმძღვანელობას?

**მოწმე:** - ჩვენ მოსახლეობის ინტერესებიდან გამოვედით... მასე, სოხუმის დაცვაც შეგვეძლო, მაგრამ იყო პანიკა და ქაოსი...

აქამდე ლოგიკურად და კორექტულად მოსაუბრე მოწმე უცებ საშინლად გაცხარდა, ალბათ, ომით გამოწვეული ტრაგიკული მოგონებების გამო, და ხმას აუწია -" ბევრი არაკაცური რომ გაგვიკეთეს ექსპრეზიდენტის მომხრეებმა, რად უნდა ლაპარაკი. კუბოებს გვიხსნიდნენ."

გენერლის ამ განცხადებას მოჰყვა მწვავე რეპლიკები დარბაზიდან:

"კუბოებით იას დი გაჰქონდათ და იმიტომ...; გარბოდით და რად გინდოდათ ავტომატი, მიგეცათ მათთვის, ვინც იბრძოდა...; მე რომ სამჯერ გამიყვანა დასახვრეტად თქვენმა გვარდიამ, კარგი იყო?"...

მოსამართლე ლერი საყვარელიძემ სცადა დარბაზის დაშოშმინება: "ჩვენ რა შუაში ვართ, ამ დარბაზში სხვა საქმე ირჩევა!" ხოლო პროკურორმა ხაბაშვილმა მეტისმეტი სიამოვნებისგან თითებიაათამაშა მაგიდაზე და დამსწრე საზოგადოება დაიმედა, რომ ყველა აქ მოვა და გასამართლდება, ვინც დამნაშავეა. პროკურორის სიტყვებმა დარბაზში გამოცოცხლება გამოიწვია.

ამგვარი იმედიანი განწყობილებით დამთავრდა სასამართლოს მორიგი სხდომა.

მოწმის, გენერალ-მაიორ ჯემალ ჭუმბურიძის ჩვენება ბევრი რამით იყო ტიპური ეგრეთ წოდებული ზვიად გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებული სასამართლო პროცესებისთვის. პირველ რიგში იმით, რომ მისი ჩვენება არავითარ კავშირში არაა თვით განსასჯელ ზაურ ქობალიასთან. ამასთან, მიუხედავად ბრალდების მხრიდან ზეწოლისა, მას არ დაუსახელებია იარაღისა და ტექნიკის წართმევის ან მკვლელობის არც ერთი ფაქტი პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთაგან, რომლის მოწმეც იგი პირადად იყო. სამაგიეროდ, მან მრავალი ფაქტი მოიხმო ვახტანგ ქობალიას შენაერთებთან ერთად ბრძოლისა და კოორდინირებული მოქმედებისა; დაბეჯითებით დაადასტურა, რომ კოდორის ხიდი აფხაზებს ეკავათ, რაც გახდა მიზეზი ლტოლვილების სვანეთით გამოსვლისა.

მოწმეთა ამგვარ ჩვენებებს შეიძლება მნიშვნელობა არ ჰქონდეს სასამართლოს გადაწყვეტილებისთვის და განაჩენი კვლავ პოლიტიკური დაკვეთის შესაბამისად იქნეს გამოტანილი, მაგრამ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მომავალში ჭეშმარიტების დასადგენად, აფხაზეთის ტრაგიკული ომის ფაქტების აღსადგენად. ამგვარად, სურთ თუ არა ძლიერთა ამა ქვეყნისა, უზენაეს სასამართლოს სხდომებზე დღეს გამოსული ბრალდების მრავალი მოწმე ხვალ შეიძლება ხელისუფალთა ბრალდების მოწმედ იქცეს.

დღევანდელი მოსამართლეები, თავისდა უნებურად, მასალას ამზადებენ მათი მომავალი სამსჯავროსთვის, ხოლო სასამართლოს მდივნების, სრულიად ყმაწვილი იურისტების ხელით მართლმსაჯულების ტაძრის დარბაზებში იწერება საქართველოს ისტორია.

*ს. გურამიშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტაბილურობა, რომელიც ომზე ძვირი უჯდება ინგუშეთს

ჩრდილოეთ ოსეთის მხრიდან ინგუშეთისკენ მიმავალი კაცის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს ერთ დროს ხალხმრავალ გზისპირა სოფლებში დასადგურებული სიცარიელე, მიტოვებული კარ-მიდამო, წითელი აგურით ნაშენი გადამწვარი სახლები... ამ სოფლებში ადრე ინგუშები ცხოვრობდნენ. ამჟამად ისინი ოსეთ-ინგუშეთის საზღვართან ჩადგმულ, სახელდახელოდ მოტანილ კონტეჯებში სახლობენ.

ინგუში ხალხის ყველაზე დიდი ტკივილი და საზრუნავი სწორედ დაკარგულ ტერიტორიებთან და იქიდან გამოძევებულ თანამემამულეთა მძიმე ხვედრთან გახლავთ დაკავშირებული.

1992 წლის ნოემბერში ოსებსა და ინგუშებს შორის არსებული დაპირისპირება შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. ომის პირველ დღეებში ინგუშებმა წარმატებული შეტევა განახორციელეს ოსთა პოზიციებზე და დაიკავეს ქ. ვლადიკავკაზის გარეუბნები. პარალელურად, ჯაირახის ხეობის მხრიდან, საქართველო-ოსეთის საზღვრის სიახლოვეს, გამოვიდა ინგუშთა შეიარაღებული რაზმი, რომელმაც სამხრეთიდან შეუტია მოწინააღმდეგეს. "ფეხმარდმა ოსებმა" თავს გაქცევით უშველეს... ამის შემდეგ კონფლიქტში რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩაერთნენ და მხარი თავიანთ ისტორიულ მოკავშირეებს - ოსებს დაუჭირეს. ინგუშებმა ველარ გაუძლეს რიცხობრივად მათზე ბევრად აღმატებული მოწინააღმდეგის შემოტევას და უკან დაიხიეს. გულმოცემულმა ოსებმა გადაწვეს ლტოლვილთა საცხოვრებელი სახლები, უსასტიკესად გაუსწორდნენ უმწეო ადამიანებს. რუსულ-ოსური ჯარი ქუჩებში ხვრეტდა ინგუშებს, ხოლო მათ სახლებს ტანკებით და ყუმბარმტყორცნებით ანგრევდა...

ოსურ-ინგუშური კონფლიქტი სათავეს 1944 წლიდან იღებს: სტალინის განკარგულებით, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები დამნაშავე ერებად გამოცხადნენ და ყაზახეთში იქნენ გადასახლებულნი. მათ შორის იყვნენ ინგუშებიც. ინგუშთა უპატრონოდ დარჩენილ სახლებში ოსები ჩაასახლეს... 1956 წელს გადასახლებულნი რეაბილიტირებულ იქნენ, სამშობლოში დაბრუნებულებს წინ ისევ ოსები აღუდგნენ ... მოგვიანებით შექმნილ ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ ოლქს ინგუშური ტერიტორიის ნაწილი ჩამოაჭრეს. მიუხედავად ამისა, ინგუშებს არასოდეს დაუკარგავთ საკუთარ სახლებში დაბრუნების იმედი.

მათი მოთმინების ფიალა წვეთობით ივსებოდა...

საქართველოში კანონიერი ხელისუფლების დამხობისა და ზვიად გამსახურდიას სამშობლოდან განდევნის შემდგომ, ედ. შევარდნაძემ ქართული ჯარი ცხინვალიდან გამოიყვანა და, ფაქტობრივად, ოსებს ჩააბარა სამაჩაბლო. "სამხრეთელ" თვისტომთა წარმატებით გულმოცემულმა და გახალისებულმა ჩრდილოეთელმა ოსებმაც სულ უფრო აქტიურად დაიწყეს ინგუშთა შევიწროება. 1992 წლის ნოემბრის ტრაგიკული მოვლენებიც რუსულ-ოსური პროვოკაციების ლოგიკური გაგრძელება იყო.

საქართველოში მომხდარმა სამხედრო გადატრიალებამ და ეროვნული ხელისუფლების დამხობამ, ბუნებრივია, უარყოფითად იმოქმედა ინგუშეთის ეროვნულ მოძრაობაზეც და მნიშვნელოვნად შეასუსტა იგი. ჩვენში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ინგუშეთის ეროვნული მოძრაობის თავკაცი - ისა ქაძოევი ჩამოცილებულ იქნა ქვეყნის მართვა-გამგეობას, ხოლო მოგვიანებით, ინგუშმა ხალხმა პრეზიდენტად აირჩია მოწვეული გენერალი - რუსლან აუშევი.

"ავლანელი" გენერლის გაპრეზიდენტების შემდეგ სამმა წელმა განვლო - რუსლან აუშევის ჩამოსვლასთან დაკავშირებული დიდი იმედები ნელ-ნელა ამ იმედების გაცრუებამ შეცვალა... მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ვერ მოხერხდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ეკონომიკა სრულად მოიშალა, რუსებისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში ოსებთან გაჯიბრებამ ვერავითარი სიკეთე ვერ მოუტანა ინგუშ ხალხს. გამართლდა იმათი აზრი, ვინც ამბობდა: რუსეთი არასოდეს დაუშვებს "პოტენციური სეპარატისტის" - ინგუშეთის - მოძლიერებასო.

დიდი არჩევანის წინაშე დადგა ინგუშეთი 1994 წლის დეკემბერში, როდესაც რუსეთის ფედერალური ჯარი ჩეჩნეთში შევიდა... ჯოჰარ დუდაევის მოწოდებამ-საერთო ძალით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ, მხარდაჭერა ჰპოვა ინგუშებში. აღმოჩნდა, რომ ბევრ მათგანს ჯერ კიდევ არ დავიწყებოდა ის დამცირება და შეურაცხყოფა, რაც მათ რუსთა წყალობით გამოსცადეს... პირველი წინააღმდეგობა რუსებს სწორედ ინგუშეთში, ნაზრანთან ახლომდებარე სოფელ ბარსუკში შეხვდა. ნაზრანში მოეწყო ხალხმრავალი მიტინგები. მოსახლეობა, წინ გადაუდგა სატანკო კოლონებს და შეეცადა ჩეჩნეთისკენ მათი წინსვლის შეჩერებას. მაგრამ ოფიციალურმა ხელისუფლებამ რაიმე რეალური დახმარება არ გაუწია ჩეჩნეთს. აუშევის სიტყვებით, მან "ამით შეინარჩუნა სტაბილურობა ქვეყანაში".

სხვანაირად ფიქრობენ ოპოზიციური პარტიის "ნისხოს" წარმომადგენლები: "თუ ჩვენ არ დავიცავთ ჩვენს მიწას, არ გვექნება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების სურვილი, თუ უსიტყვოდ დავემორჩილებით რუსთა ბრძანებებს, არ დავეხმარებით თავისუფლებისთვის მებრძოლ ჩეჩენ ძმებს, სტაბილურობა არასოდეს დაირღვევა ინგუშეთში. სამაგიეროდ, სულ მალე აღარ იარსებებს თვით ჩვენი ქვეყანა, რადგანაც რუსული "სტაბილურობა" ერის დაღუპვისკენ სტაბილურად სვლას ნიშნავს" - აცხადებენ ისინი. მათ პოზიციას ინგუშეთში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

ინგუშებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს გროზნოსთვის გამართულ ბრძოლებში, თავი გამოიჩინეს ბამუტის დაცვის დროს (ეს სოფელი აუღებელ ციხესიმაგრედ იქცა რუსული ჯარისთვის).

...ჩეჩნეთში მებრძოლ ინგუშთა სამშობლოში დაბრუნებას ყველა მოელის. ერთნი - სიხარულით, მეორენი კი (და მათ შორის ქვეყნის ხელისუფლება) - შეშფოთებით...რუსლან აუშევმა ცოტა ხნის წინ ხელი მოაწერა შეთანხმებას ჩრდილოეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრ ბირაგოვთან, რომელშიც ხაზგასმულია, რომ მხარეებს ერთმანეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნიათ. ამ კაპიტულანტურმა შეთანხმებამ ოსებთან, გააძლიერა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება. ახლა ყველა ხვდება, რომ ამ თვალსაზრისით, ჩეჩნეთში მებრძოლ თანამემამულეთა დაბრუნება ოფიციოზისთვის უსაფრთხო არ არის. ვარაუდობენ, რომ ისინი ოპოზიციურად განწყობილ ეროვნულ ძალებს დაუკავშირდებიან და აუშევისგან რუსეთისადმი ლოიალური პოლიტიკური კურსის შეცვლას მოითხოვენ. ეს კი, როგორც ჩანს, გენერლის გეგმებში სულაც არ შედის...

ამრიგად, ინგუშეთში მოვლენების შემდგომი განვითარება ბევრადაა დამოკიდებული რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დამთავრებასა და იქ ახლახანს დაწყებული კანონიერების აღდგენის პროცესზე. ჯოჰარ დუდაევის ხელისუფლების სათავეში დაბრუნება აუცილებლად გამოიწვევს ინგუშეთში ანტირუსული ძალების გაძლიერებას, რომლებიც ქვეყანაში ეროვნული ხელისუფლების დამყარებას შეეცდებიან

*ნ. წიკლაური*

**P.S.** ინგუშეთის სიდიდით მეორე დასახლებული პუნქტის-სლეპცოვსკის, დაბომბვის შემდეგ, სიტუაცია აქ მკვეთრად გამწვავდა. ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვართან, ინგუშეთის ტერიტორიაზე მოკლეს რამდენიმე რუსი ჯარისკაცი. საზღვრისპირა სოფლებში იგრძნობა შეშფოთება საბრძოლო მოქმედებების ინგუშეთში გადმოტანის შესაძლებლობის გამო. ხელისუფლება კვლავ მერყეობს და უსუსურობას იჩენს. ეს დამატებითი კოზირია იმ პოლიტიკური ძალების ხელში, ვინც აუშევს რუსეთისადმი მისი ქვეშევრდომული დამოკიდებულების გამო აკრიტიკებს.

## წერილი რედაქციას

# თუნდაც ჩალის ფასად ...

ინტერესით წავიკითხე თქვენს გაზეთში გამოქვეყნებული ნათარგმნი მასალა თურქული "ჰურიეთიდან", რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ

განაცხადი შეიტანა ბეიქოზის დასახლებაში ვილის შეძენაზე. აქვეა ნათქვამი პრემიერ-მინისტრის, ფაცაციას ანალოგიური განაცხადის თაობაზეც.

მიუხედავად თქვენი რედაქციის მიერ გამოთქმული პესიმისტური განწყობილებისა, რაც თავისთავად მეტად სამართლიანია, პირადად ჩემთვის ეს ამბავი ერთგვარი იმედის სხივად იქცა.

ვარ პროფესიით მებაღე, მაქვს დიდი გამოცდილება. ამჟამად ლტოლვილი და პენსიონერი გახლავართ.

ჰოდა, უმორჩილესად გთხოვთ, თქვენი გაზეთის მეშვეობით (სხვანაირად ვერ შევძელი) იქნებ ხმა მიაწვდინოთ ბატონ შევარდნაძეს, რათა ამიყვანოს მებაღედ თავის ვილაში.

იმ ტერიტორიაზე, თურმე, სულ ხუთი ხე ყოფილა. პირობას ვდებ, ყველა მათგანს თვალისჩინივით მოვუვლი. ის კი არა, ოთარ ფაცაციას ვილასაც შევითავსებდი, თუ შორს არ იქნება.

ხელფასი საკუთარი შეხედულებით დამინიშნონ. თუნდაც სიმბოლური. თანახმა ვარ. ადრე მთელ ჰექტარ მანდარინს და ჩაის ვუვლიდი ჩალის ფასად და ახლა რა ღმერთი გამიწყრება!

*გიორგი ხარჯველაძე*

# TAVISUPALI SAKARTVELO

## (FREE GEORGIA)

## No29 (in brief)

## 12 - 18 December, 1995

### "In the Face of Lord and my People I Was Doing my Duty"

Declared Zaur Kobalia in his political statement at the Court Session of December 4, 19951, the deputy of the Supreme Council of the Republic of Georgia, Chairman of Permanent Human Rights Commission - I was doing my duty in the face of Lord and my People when I was condemning forcible overthrow of the lawful authorities, exposing anti-Georgian actions committed by the punitive bandit detachments, defending the dignity of my nation which was manifested by the Referendum of March 31, 1991. Due to such attitude of mine, I was absolutely unlawfully arrested on January, 1994 and now I am facing this Court only because I refused to accept the forcible overthrow of the lawful authorities, violence, extermination of Georgian nation and because I was never tired to expose anti-Georgian actions and crimes. I can hardly imagine any country today where the man is punished for demanding to restore the lawfulness and justice. What is going on here can be estimated only as the political squaring of accounts.

### Experts' Conclusions Are of No Importance

The experts believe, that Tamaz Elashvili who is presently hospitalized in the Republican Prison Hospital requires treatment in specialized hospital. The security service ignores the opinion of the experts thus literally condemning the political prisoner to death. The statement #12/45-1330 "On Refusal to the Petition" signed by investigator of the Investigator Department of the Security Service D. Khachidze actually invites such consequences. This statement says, that "The Republican Hospital of the of The Ministry of Internal Affairs has never presented the issue of management "concerning Tamaz Elashvili under investigation, and thus the request about the changing the measure of suppression should not be satisfied". The statement was adopted on November 13, while earlier on November 1-6 Tamaz Elashvili who suffers serious cardiovascular disease was subjected to the expertise provided by competent specialists. In this procedure participated the experts invited by the Security Service. Conclusion #5/108 made by the experts states, that according to the existing medical documents T. Elashvili suffers from the cardiovascular pathology since 1975 and is under the cardiologic follow-up. "Proceeding from the above said, and according to the health indices of T. Elashvili, his staying under the conditions of isolation from the medical viewpoint for the present moment is impossible. He needs hospital management in a specialized medical institution such as Institute of Cardiology or Research Institute o Therapy." At the same time, the experts stress, that "Proceeding from T. Elashvili's health status no investigatory actions such as interrogation are possible due to organic and emotional nature of such actions, the impact of which can cause dramatic aggravation of his health status, similar to that which had occurred on October 19, 1995." We have the information that irrespective of such conclusion, the investigator firmly insists on interrogation of the prisoner and obtaining his testimonies. Even this very circumstance let alone the others has its unfavorable effect on the prisoner, who already is suffering from severe depression and more than once expressed the wish to commit suicide.

### Sakinform Variations on Disappeared Ship Theme

A year ago in the vicinities of Abkhazia shore was captured the ship "Spartac" from Batumi. The ship housed total of 19 persons including the crew.By the end of November Sakinform distributed information saying, that "Nearly with one year delay the Law and Order Bodies of Achara Autonomous Republic brought a suit" in relation to this fact, this statement accompanied with what may seem a new version of vanishing of "Spartac" into the thin air. It should be stressed, that this information for the first time hinted to the possibility of shipwreck: "According to the preliminary information the wreck occurred in Tuapse region, by an unofficial information. "Spartac" was captured by Abkhaz separatists." As a matter of fact there was indeed a ship wreck in the vicinities of Tuapse, but it occurred on other date, The ship was not called "Spartac" and she left not from Poti, not Batumi. As for "Spartac", no one ever doubt the version which Sakinform calls unofficial. The issue of "Spartac" and her Passengers is actually frozen irrespective of the fact, that the members of the families of the missing people sounded the alarm as early as two weeks since the wreck and managed to inform about their tragedy the legal institutions, State Committee of Human Rights and International Relationships, Cabinet of Ministers and Shevardnadze himself. Besides, the information was sent to the UNO, International Red Cross Society, foreign countries embassies both on the territory of Georgia and Russia, to the Commissions of Russian Duma. Though among those 19 people was a citizen of Russia, the main reason of informing Russian official bodies was the fact, that the situation in Abkhazia was controlled by the Russian Army which was acting under the UNO aegis. Thus, Sakinform once more sins against the truth when informing the readers that "the relatives of the missing people among which are the residents of Kaspi (?!) did not consider it necessary to appeal to the Law and Order bodies of the Republic". So far as we are concerned, this issue is investigating the State Security Service, though our surprise is caused by the way this problem is considered by Sakinform: even if the relatives had never appealed to the Law and Order Bodies, is not it the duty of the State to care about the security of its citizens who under the peace conditions (however formal this peace may be) are captured and kept somewhere during one year on the territory which is controlled by the army of the foreign country which had been invited by the authorities to conduct the peaceful mission on this territory?!

მთავარი რედაქტორი თამარ ებრალიძე
EDITOR IN CHIEF TAMAR EBRALIDZE

მოგვწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი 8, საბონენტო ყუთი №227
Address for correspondence: Box #227, 380008, Tbilisi 8, Georgia